

ხელშეკრულება № 1-2017
(სახანძრო, მხუთავი და ბუნებრივი აირის დეტექტორები)

ქ. თბილისი

11413 29.10.16

29 დეკემბერი 2016 წ.

ერთი მხრივ სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ დიდიძის სახით და მეორეს მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში „მიმწოდებელი - დაცვა“), დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მამუკა ლიპარტელიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 „მიმწოდებელი - დაცვა“ უზრუნველყოფს „შემსყიდველის“ ობიექტის რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №2, ცენტრალური დაკვირვების პულტზე აყვანას (CPV 79711000 – დაცვის სისტემის მონიტორინგთან დაკავშირებული მომსახურებები) და მიღებული სახანძრო, მხუთავი და ბუნებრივი აირის დეტექტორებიდან გამოწვეული განგაშის სიგნალის შესაბამისი სამსახურისათვის დაუყოვნებლივ გადაცემას;
- 1.2 შემსყიდველის ობიექტის მომსახურებას განხორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

- 2.1 მომსახურების ღირებულება თვეში შეადგენს 40,00 (ორმოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;
- 2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 480,00 (ოთხასოთხმოცი) ლარი;
- 2.3 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში;
- 2.4 „მიმწოდებელი“ მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

- 3.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
 - 3.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხელშეკრულების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი ხარჯებით განხორციელოს მის საკუთრებაში არსებული რადიო გადამცემის, რადიო გადამცემის ყუთის და რადიო გადამცემის პლატას მონტაჟი-ინსტალაცია დამკვეთის ობიექტზე;
 - 3.1.2 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებისთანავე მოახდინოს მიღებული განგაშის სიგნალის შესაბამისი სამსახურზე დაუყოვნებლივ გადაცემა;
 - 3.1.3 „მიმწოდებელი“ პასუხს არ აგებს შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობისას „შემსყიდველისა“ და მესამე პირებს (სამაშველო სამსახური, სასწრაფო სამედიცინო სამსახური და სხვა) შორის წარმოშობილი დავების გამო;
 - 3.1.4 სახანძრო, მხუთავი და ბუნებრივი აირის დეტექტორების მონტაჟის დასრულებისთანავე და მინიმუმ 6 თვეში ერთხელ შემოწმოს სისტემის გამართულობა, რაზედაც ფორმდება შემოწმების აქტი;
 - 3.1.5 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია სახანძრო, მხუთავი და ბუნებრივი აირის დეტექტორებიდან სისტემატიურად „ცრუ განგაშის“ შემოსვლის შემთხვევაში გაწვევით მომსახურების ხელშეკრულება; 3.1.6. ხანძრის, მხუთავი ან ბუნებრივი აირის მიზეზით გამოწვეულ ზარალს „მიმწოდებელი“ არ ანაზღაურებს.
- 3.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
 - 3.2.1 ტექნიკის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „მიმწოდებელს“, დაელოდოს „დაცვის“ წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;
 - 3.2.2 სისტემა აღჭურვის ახალი სარეზერვო მკვებავი საშუალებებით და მინიმუმ 18 თვეში ერთხელ უზრუნველყოს მათი აუცილებელი განახლება, მუდმივად გამართულ მდგომარეობაში იქონიოს სამუხტი მოწყობილობა და სარეზერვო მკვებავი საშუალებები, დაიცვას მათი ექსპლოატაციის პირობები და მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში დროულად უზრუნველყოს მათი შეცვლა;
 - 3.2.3 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთრებას და დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ არის გადაცემული „დამკვეთი“- სათვის) განზრახ ან გაუფრთხილებლობით

